14. 01. 16.

**ადამიანის უფლებათა ცენტრის ახალი პროექტი - „ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“**

ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებს პროექტს **„ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“.** პროექტი მიზნად ისახავს, სტრატეგიული სამართალწარმოების გზით, მოწყვლადი ჯგუფების, ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობას საქართველოს რეგიონებში, კერძოდ - ქვემო ქართლსა და კახეთში.

პროექტის ფარგლებში, ზემოაღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლებს გაეწევათ იურიდიული მომსახურება, მათ შორის - სასამართლო წარმომადგენლობა. იურიდიული კონსულტაციები (მათ შორის - ადგილზე) გაიცემა ისეთ სტრატეგიულ საქმეებზე, როგორიც არის: რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, ამ ნიშნით სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა, საკუთრების უფლების დაცვა, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა; პროექტის სამიზნე ჯგუფი, ასევე, იქნება ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალბატონები ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. პროექტი დაეხმარება ქალებს, რომლებსაც უარი ეთქვათ მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლების გადაცემაზე; ვისაც ემუქრება იძულებითი ან ნაადრევი ქორწინება; პროექტი დაეხმარება ეთნიკურად ოს მოქალაქეებს საქართველოს რესტიტუციის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვაში და სამართალწარმოებაში. სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეების წარმოებით მოხდება საზოგადოების გარკვეული მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების ადვოკატირება შესაბამის სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობის გზით საჭიროების შემთხვევაში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილი იქნება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

პროექტის გუნდი მოაწყობს ვიზიტებს ქვემო ქართლისა და კახეთის იმ სოფლებში, რომლებიც მოწყვეტილია მუნიციპალიტეტის ცენტრებს; გაავრცელებს ინფორმაციას პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული სერვისების შესახებ და ადგილზე გაუწევს ბენეფიციარებს იურიდიულ კონსულტაციას. ვიზიტების ფარგლებში ორგანიზაციის იურისტები შეარჩევენ საქმეებს სტრატეგიული სამართალწარმოებისა და ადვოკატირებისათვის. სულ პროექტის განმავლობაში განხორციელდება 12 ვიზიტი - 6 კახეთის რეგიონის სოფლებში და 6 ქვემო ქართლის რეგიონის სოფლებში.

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, მ. ქანთარიას ქ. # 11ა, III სართ. ტელ: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33; (+995 32) 238 46 48
ელ–ფოსტა: hridc@hridc.org, ვებ–გვერდი: www.humanrights.ge
Address: 11a, M. Kantaria str, III floor, 0160 Tbilisi, Georgia. Tel: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33; (+995 32) 238 46 48
E-mail: hridc@hridc.org, Web: www.humanRights.ge

პროექტის ბოლოს მომზადდება ანგარიში პროექტის ფარგლებში გამოვლენილი დისკრიმინაციის ფაქტების, არასწორი სასამართლო პრაქტიკის შესახებ. პროექტში წარმოდგენილი იქნება კონკრეტული რეკომენდაციები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის პრობლემების მოგვარების გზების შესახებ.

*პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული.*

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, მ. ქანთარიას ქ. # 11ა, III სართ. ტელ: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33; (+995 32) 238 46 48
ელ–ფოსტა: hridc@hridc.org, ვებ–გვერდი: www.humanrights.ge
Address: 11a, M. Kantaria str, III floor, 0160 Tbilisi, Georgia. Tel: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33; (+995 32) 238 46 48
E-mail: hridc@hridc.org, Web: www.humanRights.ge